

ანოტაცია
ბიოზანი-500 (Biozan -500)
Oxyclozanide, Oxfendazole

წამლის ფორმა

პერორალურად მისაღები ტაბლეტი, გამოიყენება ვეტერინარიაში

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ფართო სპექტრის ანტიჰელმინთური საშუალება, Atc vet.code: QP52AC52

სამიზნე სახეობა: მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი

შემადგენლობა

ერთი ტაბლეტი შეიცავს: ოქსიკლოზანიდს 375 მგ, ოქსფენდაზოლს 125მგ.

აღწერილობა: იასამნისფერი ტონალობის ტაბლეტები, შესაძლოა ჰქონდეს ყავისფერი ელფერი და აღენიშნებოდეს ჩანაწინწკლები. ტაბლეტს ერთ ზედაპირზე აქვს ჭდე, მეორე ზედაპირზე წარწერა - "BIO".

გამოშვების ფორმა:

300 ტაბლეტი პოლიეთილენის კონტეინერში.

ფარმაკოლოგიური თვისებები

ოქსიკლოზანიდი არის სალიცილამიდის ჯგუფის, ფართო სპექტრის ანტიჰელმინთური საშუალება, იგი ეფექტურია ახალგაზრდა (უმწიფარი) და ზრდასრული ფორმის პარაზიტების მიმართ, გამოიყენება ფასციოლოზის, პარამფისტომიდოზის, მონიეზიოზის დაავადებების პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის. ოქსიკლოზანიდის მოქმედების მექანიზმი დაფუძნებულია პარაზიტების ჟანგვითი ფოსფორილებადი ციკლის დარღვევასა და ატფ-ის დონის შემცირებაზე, გამომდინარე აქედან ხდება ჰელმინთებში მეტაბოლური პროცესების დარღვევა, რაც იწვევს პარაზიტების სიკვდილს. პრეპარატი უზრუნველყოფს ცხოველების სრულ დეჰელმინთიზაციას. ოქსიკლოზანიდის შეწოვა ხდება ნელა, პერორალურად მიცემისას სისხლის პლაზმაში თერაპიული კონცენტრაცია მიიღწევა 24სთ-ში, ორგანიზმიდან გამოიყოფა ფეკალთან ერთად.

ოქსფენდაზოლი ბენზიმიდაზოლის ჯგუფის ფართო სპექტრის ანტიჰელმინთური საშუალებაა, მოქმედებს ნემატოდების და ცესტოდების ყველა განვითარების სტადიაზე მყოფი ჰელმინთების მიმართ. გამოიყენება ჰემონქოზის, ოსტერტაგიოზის, ტრიქოსტრონგილოზის, ნემატოდიროზის, კოოპერიოზის, ეზოფაგოსტომოზის, ბუნოსტომოზის, დიქტიოკაულოზის, მონიეზიოზის დროს. ოქსფენდაზოლის მოქმედების მექანიზმი დაფუძნებულია ფუმარარედუქტაზის ბლოკირებასა და ჰელმინთის მეტაბოლიზმის ენერგეტიკულ მოშლაზე. პრეპარატის გამოყოფა ხდება შარდან ერთად.

გამოყენების ჩვენებები

ბიოზანი-500-ის შემადგენლობაში შემავალი (ოქსიკლოზანიდი, ოქსფენდაზოლი) ორი ფართო სპექტრის მქონე ანტიჰელმინთური ნივთიერების კომბინაცია უზრუნველყოფს ცხოველების სრულ დეჰელმინთიზაციას.

პრეპარატი გამოიყენება მსხვილფეხა პირუტყვის, ცხვრისა და თხის სამკურნალოდ ფასციოლოზის, პარამფისტომიდოზების, მონიეზიოზის, დიქტიოკაულოზის,

ჰემონქოზის, ოსტერტაგიოზის, ტრიქოსტრონგილოზის, ნემატოდიროზის, კოოპერიოზის, ეზოფაგოსტომოზის, ბუნოსტომოზის დროს.

გამოყენების წესი და დოზები

მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვს, პრეპარატი ეძლევა პერორალურად, ინდივიდუალურად. *ფარმაკოლოგიური დოზა:* ოქსიკლოზანიდი 10-15მგ/კგ ც.წ-ზე; ოქსფენდაზოლი 5-7.5მგ/კგ ც.წ-ზე.

პრაქტიკული დოზა: ფასციოლოზის, დიქტიოკაულოზის, ჰემონქოზის, ოსტერტაგიოზის, ტრიქოსტრონგილოზის, ნემატოდიროზის, კოოპერიოზის, ეზოფაგოსტომოზის, ბუნოსტომოზის დროს - 1 ტაბლეტი 35კგ ც.წ-ზე.

მონიეზიოზის, პარამფისტომიდოზების დროს - 1 ტაბლეტი 25კგ ც.წ-ზე.

უკუჩვენებები

არ არის რეკომენდებული პრეპარატის გამოყენება მკეობის პირველ მესამედში, დასუსტებული და დაავადებული ცხოველებისთვის.

გვერდითი მოვლენები

სწორი დოზირებისას გვერდითი მოვლენები არ აღინიშნება.

დაყოვნების პერიოდი

ცხოველის დაკვლა ხორცის გამოყენების მიზნით ნებადართულია პრეპარატის ბოლო მიღებიდან მსხვილფეხა პირუტყვის 28 დღის შემდეგ; ცხვრის 21 დღის შემდეგ.

რძე გამოსაყენებლად ვარგისია პრეპარატის ბოლო გამოყენებიდან 5დღის (10 მონაწველის) შემდეგ.

შენახვის პირობები:

პრეპარატი ინახება მშრალ, სინათლისგან დაცულ ადგილას, არაუმეტეს 15-25°C ტემპერატურაზე

შეინახეთ ბავშვებისთვის ხელმიუწვდომელ ადგილას.

ვარგისობის ვადა: 3 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: შპს „ბიოტექსი“, საქართველო, თბილისი, იუმაშევის ქ.#8